საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-5/966
24/01/2024

966-04-5-2-202401240937

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრს

ქალბატონ ნანა გაბელიას

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ნანა ჯალაღონიას შრომის უფლების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ნანა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ნანა ჯალაღონიას (პ/ნ 19001026064) განცხადებები[1] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის N2 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს თანამდებობიდან მისი გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს განმცხადებლის კონსტიტუციით გარანტირებული შრომის უფლების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები:

განსახილველ საქმეზე როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ისე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის[2] შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ[1]“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2023 წლის 13 ივლისს გამოსცა N67/კ ბრძანება და დირექტორის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის ნანა ჯალაღონია გაათავისუფლა აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. მითითებულ თანამდებობაზე ნანა ჯალაღონია მუშაობდა 2015 წლიდან. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან ნანა ჯალაღონიას გათავისუფლებას წინ უძღოდა აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის ყოფილი და მოქმედი რამდენიმე

[1] ნანა ჯალაღონიას 02.08.2023 წ. N9132/23, 08.08.2023 წ. N9297/23 და 9355/23, 10.09.2023 წ. N10990/23, 20.09.2023წ. N11368/23, 25.09.2023 წ. N11562/23, 27.09.2023 წ. N11663/23, 02.10.2023 წ. N11868/23 და 04.10.2023 წ. განცხადებები.

[2] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2023 წლის 27 ოქტომბრის N13053/23, 2023 წლის 19 სექტემბრის N11312/23 და 2023 წლის 23 აგვისტოს N10215/23 წერილები.

თანამშრომლის კოლექტიური საჩივარი[3], სადაც საჯარო სკოლის ყოფილი და მოქმედი რამდენიმე მასწავლებელი მიუთითებდა, რომ ნანა ჯალაღონია კონკრეტულ პედაგოგებზე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ამცირებდა მათ მშობლებისა და მოსწავლეების წინაშე და არაკანონიერად და არასათანადოდ ტვირთავდა მასწავლებლებს საგაკვეთილო საათებით. ყოველივე აღნიშნულის შედეგად კი 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს კონკრეტულ საგნებში არ ჩატარებიათ გაკვეთილები.

ადმინისტრაციული ორგანოდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის N2 საჯარო სკოლის ყოფილი და მოქმედი რამდენიმე მასწავლებლის საჩივრებში დაფიქსირებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, როგორც საზედამხედველო უწყებამ, ჩაატარა მოკვლევა. მოკვლევის ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენლებმა შეისწავლეს სკოლაში არსებული საკადრო საკითხები, პედაგოგთა დატვირთულობა და ელექტრონული ჟურნალები. ასევე, განსახილველ საკითხებზე წერილობითი ახსნა-განმარტება მოთხოვეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს - ნანა ჯალაღონიას. აფაზეთის ა/რ-ს განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მაკონტროლებელ ორგანოს მოკვლევის ფარგლებში სკოლაში დასაქმებული სხვა პედაგოგები და მოსწავლის მშობლები არ გამოუკითხავს, თუმცა შეისწავლა მასწავლებლების საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებული მასალები, რომელთა ანალიზის შედეგად დადგინდა შემდეგი:

- აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს ნანა ჯალაღონიას 2021 წელს საკუთარ თავთან (როგორც ქართული ენისა და ლიტარატურის პედაგოგთან) ჰქონდა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით. აღნიშნულ დარღვევაზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განმარტავდა, რომ მოქმედი კანონმდებლობით მას შეეძლო ემუშავა პედაგოგად და შეეთავსებინა 10 საგაკვეთილო საათი, თუმცა არასწორად მიღებული კონსულტაციის შედეგად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გააფორმა საკუთარ თავთან შრომითი ხელშეკრულება. ნანა ჯალაღონია აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც გამოარკვია, რომ შეთავსებით პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება (10 საგაკვეთილო საათის შეთავსება) შეეძლო შრომითი ხელშეკრულების გარეშეც, მომდევნო სასწავლო წლისთვის აღარ გაუფორმებია მსგავსი შრომითი ხელშეკრულება;

- 2022-2023 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ნანა ჯალაღონიას როგორც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს კანონმდებლობით დაშვებულ 10 საგაკვეთილო საათის ნაცვლად შეთავსებული ჰქონდა 16 საგაკვეთილო საათი. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით ნანა ჯალაღონიამ 2022 წლის 26 ოქტომბრის N MES9220001356014 წერილით ინფორმაცია მიაწოდა აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ითხოვა გამონაკლისის დაშვება 2023 წლის 15 იანვრამდე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიუთითებდა, რომ არაერთხელ გამოცხადებული კონკურსის მიუხედავად, ვერ შეირჩა სკოლისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (კანდიდატების ნაწილი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, ზოგისთვის არ აღმოჩნდა მისაღები სკოლის მიერ შეთავაზებული პირობები

[3]23.05.2023 წ. N584193 და 18.05.2023 წ. N563281 საჩივრები.

(პირველ ცვლაში საგაკვეთილო საათების ჩატარება), ხოლო ზოგ კანდიდატს არ გააჩნდა სათანადო კომპეტენცია). ვინაიდან 2022-2023 წლის სასწავლო წლის მეორე სემესტრში, ანუ მას შემდეგ რაც სკოლაში გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე აიყვანეს შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგი, ნანა ჯალაღონიას აღარ შეუთავსებია მითითებული საგაკვეთილო საათები. შესაბამისად, ირკვევა, რომ მითითებული კანონდარღვევა აღმოიფხვრა.

ჩატარებული შემოწმების ფარგლებში სამინისტრომ ასევე გამოავლინა პედაგოგის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრასთან დაკავშირებით დირექტორის მიერ გამოცემული ორი ბრძანება სადაც ტექნიკური ხასიათის შეცდომები იყო (ერთ-ერთ ბრძანებაში არასწორად იყო მითითებული შინაგანაწესით გათვალისწინებული გადაცდომის ფორმა, ხოლო მეორეში 5%-ის ნაცვლად მითითებული იყო 0.05%). ასევე, გამოვლინდა საგაკვეთილო საათების მასწავლებლებზე გადანაწილების ორი იმგვარი შემთხვევა, რაც სამინისტროს მხრიდან მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული, თუმცა არ გამოვლენილა სასწავლო პროცესის შეფერხების ან/და საგაკვეთილო საათების გაცდენის (არ ჩატარების) შემთხვევა.

აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის ყოფილი და მოქმედი პედაგოგების საჩივრებთან დაკავშირებით ჩატარებული მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ზემოაღნიშნული დარღვევების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა 2023 წლის 12 ივლისს აფხაზეთის ა/რ-ს განათლებისა და კულტურის მინისტრს წარუდგინა N570499 მოხსენებითი ბარათი. დოკუმენტის დასკვნით ნაწილში მითითებული იყო, რომ გამოვლენილი კანონმდებლობის უხეში და სისტემატიური დარღვევის შედეგად მიზანშეწონილი იყო ნანა ჯალაღონიას N2 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს თანამდებობიდან გათავისუფლება.

2023 წლის 13 ივლისს N67/კ ბრძანებით დირექტორის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილის *(სკოლის დირექტორი არ აყენებს მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელს და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირს რაიმე სახის შეურაცხყოფას და არ ახდენს მათზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას)* და მე-4 მუხლის პირველი *(მასწავლებლების მიმართ თანასწორი მოპყრობის ვალდებულება)* და მეშვიდე ნაწილებით *(ესგ-თი გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში მასწავლებლების ხელშეწყობა)* გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ[1]" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ნანა ჯალაღონია გათავისუფლდა აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

სამართლებრივი დასაბუთება:

მოგეხსენებათ შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით,[4] ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებით[5], ასევე საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს შრომის კოდექსით", საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ" და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,

[4] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.

[5] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.

კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ახალი რედაქციით 26-ე მუხლი) დაცულია არა მხოლოდ უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო/დათმო ეს სამუშაო და **დაცული იყო უმუშევრობისაგან**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მიერ ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ[1]" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში 2023 წლის 13 ივლისს გამოცემული N67/კ ბრძანება ნანა ჯალაღონიას აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის ,,დ" და ,,ლ" ქვეპუნქტების საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც შეიზღუდა/გაუარესდა აღნიშნული აქტის ადრესატის სამართლებრივი მდგომარეობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. გადაწყვეტილების კანონიერებას განსაზღვრავს, თუ როგორ განახორციელა ადმინისტრაციულმა ორგანომ მინიჭებული უფლებამოსილება[6]. **დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს.** დასაბუთებაში კი გარდა სამართლებრივი საფუძვლების მითითებისა, არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად.

განსახილველ საქმეში ცალსახად იკვეთება, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ნანა ჯალაღონიას საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უგულებელყო ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წესი, რომლითაც გაწერილია თუ როდის შეუძლია სამინისტროს როგორც საზედამხედველო და მაკონტროლებელ ორგანოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა. კერძოდ, ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის

[6] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის #ბს-525-512(კ-14) გადაწყვეტილება.

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სფეროში სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს აფხაზეთის ა/რ-ს განათლებისა და კულტურის სამინისტრო. კონტროლის განხორციელების მიზნით სამინისტრო გამოითხოვს მასალებსა და ინფორმაციას ან ადგილზე შეისწავლის სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულების საკითხს. ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის ,,გ" და „დ" ქვეპუნქტების სპეციალურად განსაზღვრავს იმ საფუძვლებს და შემთხვევებს, როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტრო უფლებამოსილია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ვადამდე შეწყვეტოს უფლებამოსილება.

კანონით განსაზღვრული ზემოაღნიშნული დანაწესის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ნანა ჯალაღონიას აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეუწყვიტა ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,მ[1]" ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებაზე მითითებით, მაშინ როდესაც აღნიშნული ნორმა ზოგადად განსაზღვრავს სამინისტროს უფლებამოსილებას სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ვერ წარმოუდგინა ინფორმაცია ნანა ჯალაღონიას მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევებისთვის მათი ჩადენის სიხშირის, სიმძიმისა და დარღვევით გამოწვეული შედეგის თვალსაზრისით რატომ იყო მიზანშეწონილი და აუცილებელი აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა და განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სხვა სახის უფრო მსუბუქი სანქცია რატომ ვერ იქნებოდა გამოყენებული.[7] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა უნდა შეფასდეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შრომის სამართალში პრინციპი - „Ultima Ratio", ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა *(გადაცდომას)* და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცულობას. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის *(გადაცდომის)* ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. **შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება/შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უნდა იყოს უკიდურესი სახის ღონისძიება.[8]**

მოცემულ საქმეში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ 2023 წლის 13 ივლისის N67/კ ბრძანების გამოცემისას უგულებელყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი კანონის უზენაესობის პრინციპი და ,,ზოგადი

[7] იხ. საქართველოს უზენაესის სასამართლოს გადაწყვეტილებები №ას-267-2021, 11.06.2021; №ას-997-2020, 10.02.2021; №ას-658-2020, 4.12.2020; №ას-498-2022.

[8] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-1101-2022, 17 ნოემბერი, 2022; №ას-1350-2019, 27.11.2019წ; №ას-368-2019, 31.07.2019წ., პ.23;№ას-416-399-2016, 29.06.2016წ.

განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესების გვერდის ავლით აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს შეუწყვიტა უფლებამოსილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლებს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისს განათლებისა და კულტურის მინისტრის 2023 წლის 12 ივლისის N67/კ ბრძანება აფხაზეთის ა/რ-ს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ არის დაუსაბუთებელი და მომზადებული და გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით, რაც იწვევს ნანა ჯალაღონიას შრომითი უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას და ქმნის აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლებს.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

ნანა ჯალაღონიას კონსტიტუციური დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, ჩაატაროთ ადმინისტრაციული წარმოება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2023 წლის 13 ივლისის N67/კ ბრძანების კანონიერების შემოწმების მიზნით და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.